შპს „ პროფიუნიტი“

LLC „ PROFUNITE “

საქართველო, ქ. ჭიათურა 5500
გ. თხელიძის ქ. №29
ტელ: 0 (479) 25-19-60, 5 99 941485
E-mail: profiuniti@gmail.com

Georgia, Chiatura 5500
G. Tkhelidze st. #29
Phone: 0 (479) 25-19-60 5 99 941485
E-mail: profiuniti@gmail.com

შპს „პროფიუნიტის“ დირექტორის

აკაკი გურჯიძის

ბრძანება №68/22

ჭიათურა 29 დეკემბერი 2022წ.

შპს „პროფიუნიტის“ შინანაგანაწესის მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის საფუძველზე, უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად,

ვბრძანებ:

1. თანდართული ფორმით დამტკიცდეს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დანართი: 07 ფურცელი;

დირექტორი: /ა. გურჯიძე/

დამტკიცებულია შპს „პროფიუნიტი“ დირექტორის
2022 წლის 29 დეკემბრის #68/22 ბრძანებით

შპს „პროფიუნიტი“
შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

თავი 1. ზოგადი ნაწილი;

მუხლი 1.
შპს „პროფიუნიტს“ (შემდგომში კოლეჯი) საქმიანობის განხორციელებისას, პრიორიტეტად განსაზღვრული აქვს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა პერსონალისა და სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2.
კოლეჯის აცნობიერებს რა უსაფრთხოების კუთხით პასუხისმგებლობას წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე უზრუნველყოფს მის აღსრულებას;

მუხლი 3.
კოლეჯი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს სფეროში არსებული სტანდარებითა და მოთხოვნების დაცვით;

მუხლი 4.
უსაფრთხოების ნორმების დასაცავად კოლეჯს დასახული აქვს შემდეგი მიზნები:

- დაიცვას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უსაფრთხოება;
- წესრიგის დაცვა;
- უზრუნველყოს რისკების შეფასება და მართვა;
- მოახდინოს უბედური შემთხვევებისა და სხვა ინციდენტების აღრიცხვა მოკვლევა;
- უზრუნველყოფს ჰიგიენური ნორმების დაცვა;
- განახორციელოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
- განახორციელოს საგანგებო სიტუაციების მართვის დოკუმენტით განსაზღვრული პროცესები;
- უზრუნველყოს სახანძრო და ელექტროუსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა;
- უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვა ;
- უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების დაცვა;

მუხლი 5.
კოლეჯში უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე სისტემურ ხელმძღვანელობას ახორციელებს და პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორი;

მუხლი 6.
კოლეჯი ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას, საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, „საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ და აღნიშნულ სფეროში მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს;

მუხლი 7.
წინამდებარე დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება შპს პროფიუნიტის ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და თანამშრომელზე, სტუდენტზე, მსმენელზე, ვიზიტორზე.

თავი 2. შრომის უსაფრთხოების დაცვა

მუხლი 8. კოლეჯის შრომის უსაფრთოების პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

- დასაქმებულის ჯანმრთელობა და სიცოცხლე უპირატესია ყველა სხვა ინტერესებზე;
- ნებისმიერ პირს აქვს უფლება იმუშაოს უსაფრთხო სამუშაო პირობებში;
- დასაქმებულებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე შრომის უსაფრთხოებისა და მათი დაცვის საკითხების გადაჭრა.

მუხლი 9. შრომის უსაფრთხოების დაცვის ძირითადი მიზნებია:

- უბედური შემთხვევებისა და ავარიების თავიდან აცილება;
- დასაქმებულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირება;
- სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემო-პიროებების შექმნა;
- დასაქმებულთა პროფესიული კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება შრომის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში;
- უსაფრთხო გარემოს მუდმივი გაუმჯობესებაზე ზუნვა;
- ინფორმაციის ოპერატიულად მართვის უზრუნველყოფა ადეკვატური გადაწყვეტილების მისაღებად, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში.

მუხლი 10. შრომის უსაფრთხოების დაცვის ძირითადი ამოცანები:

- ახორციელებს ყველა ხელმისაწვდომ და პრაქტიკულად მიზანშეწონილ ღონისძიებას ავარიული სიტუაციებისა და ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულთა ჯანმრთელობას.
- ავარიული სიტუაციის დადგომის შემთხვევაში იღებს ზომებს მისი შედეგების შესამცირებლად დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით;
- მოითხოვს დასაქმებულებისა და ყველა დაქირავებული კონტრაქტორისაგან შესაბამისი სტანდარტების, საწარმოო და უსაფრთხოების სხვა ნორმების დაცვას;
- აწარმოებს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მუდმივ მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში, ახდენს პროცესების გაუმჯობესებას.
- მონიტორინგის საფუძველზე შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებს რისკების პრევენციას.
- უზრუნველყოფს პერსონალის აქტიურ მონაწილეობას უსაფრთხოების ზომების დანერგვასა და დაცვის საკითხებში;
- ქნის უსაფრთხო სამუშაო ადგილებს;

მუხლი 11. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

11.1. შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ პროცესებს ახორციელებს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

11.2. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი მონაწილეობს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში. სამუშაო პროცესში უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით და სისტემატიურად ატარებს შემდეგ ღონისძიებებს:

- უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შედგენას დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და ხელს უწყობს მის დანერგვას;
- უზრუნველყოფს გეგმიური მონიტორინგის ჩატარებას სამუშაო პროცესების შრომის უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად წარმართვის მიზნით;

- უზრუნველყოფს საფრთხეების იდენტიფიცირებას, შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასებას კოლეჯის საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით;
- უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების რეგისტრაციას, მოკვლევას და ანგარიშგებას, გამომწვევი მიზეზების შესწავლა მოკვლევას და გამოსასწორებელი ღონისძიებების დაგეგმვას;
- საჭიროების მიხედვით შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემატურ ტრენინგებსა და ინსტრუქტაჟებს უტარებს თანამშრომლებს;
- აქტიურად თანამშრომლობს მენეჯმენტთან შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით;

11.3. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშვალდებულია დირექტორთან;

თავი 3. სასწავლო პროცესის უსაფრთხოების დაცვა

მუხლი 12. სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვის ღონისძიებებს ახორციელებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად;
მუხლი 13. სასწავლო პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი სასწავლო წლის მანძილზე ორჯერ პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის აღჭურვილობის ვარგისიანობას და უზრუნველყოფს მოცემული საფრთხეების თავიდან არიდებას;
მუხლი 14. პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისას უსაფრთხოების წესებს სტუდენტებს აცნობს პროგრამის ხელმძღვანელი, ან დარგის წარმომადგენელი მასწავლებელი;

თავი 4. წესრიგის დაცვა

მუხლი 15. კოლეჯში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი - დარაჯი;
მუხლი 16. კოლეჯში მატერიალური ფასეულობების დაცვას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი - დარაჯი;
მუხლი 17. დამატებითი უსაფრთხოების მიზნით კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერებით;
მუხლი 18. შენობაში ფუნქციონირებს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;
მუხლი 19. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი;
მუხლი 20. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ტექნიკურად გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირია ინფორმაციის ტექნოლოგიის სპეციალისტი;

თავი 5. რისკების შეფასება და მართვა

მუხლი 21. რისკების შეფასება და მართვა ხორციელდება კოლეჯში მოქმედი **სამუშაო ადგილზე რისკების შეფასების ინსტრუქციით** გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების დაცვით;

თავი 6. უბედური შემთხვევებისა და სხვა ინციდენტების აღრიცხვა მოკვლევა;

მუხლი 22. კოლეჯში უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზანია ინციდენტის გამომწვევი მიზეზების დადგენა, უბედური შემთხვევის პრევენცია;

მუხლი 23. უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზნით დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით იქმნება უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისია ინციდენტიდან 24 საათში;

მუხლი 24. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

- კოლეჯის დირექტორი;
- დირექტორის მოადგილე;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- დასაქმებულთა წარმომადგენელი შრომის უსაფრთცხოებისსაკითხებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირები;

მუხლი 25. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მოკვლევის კომისია ინციდენტის შემთხვევაში განახორციელებს შემდეგ პროცედურებს:

- დაზარალებული პირისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა და შემდგომში საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების მიღება;
- დაუყოვნებლის მენეჯმენტის ინფორმირება;

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი:

- განსაზღვრავს ინციდენტის გამომწვევ სავარაუდო მიზეზებს და მიზეზის/წყაროს იზოლაციისათვის ან ლიკვიდაციისათვის იღებს უსაფრთხოების ზომებს;
- მძიმე, ფატალური და მასობივი უბედური შემთხვევებისას კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენელთა მოსვლამდე უზრუნველყოფს ინციდენტის ადგილის უცვლელად შენარჩუნებას შემთხვევის ადგილის შემოფარგვლით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია ზომების მიღება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად;
- ახდენს საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევის ადგილის დათვალიერებას და ფოტოგადაღებას;
- ახორციელებს თვითმხილველთა იდენტიფიცირებას;

უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისია:

- ახორციელებს თვითმხილველთა გამოკითხვას;
- ახდენს ექსპერტების შეფასებების შესწავლას;
- ახდენს შემთხვევის ადგილის მტკიცებულებების შესწავლას;
- ადგენს უბედური შემთხვევის გამომწვევ ფაქტორებს;
- განსაზღვრავს გასატარებელ ღონისძიებებს;
- აფორმებს უბედური შემთხვევის შესახებ მოკვლევის ოქმს;

მუხლი 26. სხვა ინციდენტების ინფორმირება აღრიცხვა და მოკვლევა;

26.1. ნებისმიერი სახის ინციდენტი, მიუხედავად იმისა მოხდა თუ არა ადამიანის დაზიანება და რა სიმძიმისაა დაზიანება , ასევე ნებისმიერი ფაქტი, რომელმაც ზიანი მიაყენა გარემოს, მოითხოვს გამოძიებას/მოკვლევას, რათა დადგინდეს შემთხვევის გამომწვევი მიზეზები და მოხდეს შესაბამისი და ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვა მომავალში მსგავსი ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით;

26.2. ნებისმიერი ინციდენტის დროულად და ეფექტურად გამოძიების მიზნით საჭიროა ინციდენტის შესახებ დროული ინფორმირება; კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დროულად და სრულად მიაწოდოს ინფორმაცია მომხდარი ინციდენტის შესახებ უშუალო ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დროულ ინფორმირებაზე;

26.3. მომხდარი ინციდენტის შედეგებიდან გამომდინარე ინციდენტის თვითმხილველი პირი იძახებს დახმარებას ნომერზე „112“;

26.4. ინციდენტის შედეგის ან შესაძლო შედეგის სიმძიმიდან გამომდინარე ინციდენტის მოკვლევა უნდა განხორციელდეს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ;
26.5. აღნიშნული კომისია მოკვლევის შედეგად ადგენს ინციდენტის გამომწვევ მიზეზებს , შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტებს და ინციდენტში მონაწილე პირების ბრალეულობას, რის საფუძველზეც განისაზღვრება მომავალში მსგავსი ინციდენტების პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირების და ვადები, რაზედაც დგება შესაბამისი ოქმი;
26.6. გასატარებელი ღონისძიებების შესრულებას აკონტროლებს კომისია ან კომისიის ოქმით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი;
26.7. ინციდენტების რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს უბედური შემთხვევების რეგისტრაციის ჟურნალში;

თავი 6. ჰიგიენური ნორმების დაცვა;
მუხლი 27. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა ხორციელდება კოლეჯში მოქმედი **სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმით** გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების დაცვით;

თავი 7. პირველადი გადაუდებელი დახმარება;
მუხლი 28. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ხორციელდება კოლეჯში მოქმედი **უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმით** გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების დაცვით;

თავი 8. საგანგებო სიტუაციების მართვა;
მუხლი 29. საგანგებო სიტუაციის მართვა ხორციელდება კოლეჯში მოქმედი **საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმით** გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების დაცვით;

თავი 9. სახანძრო და ელექტროუსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა;
მუხლი 30. ხანძარი არის უკონტროლო ცეცხლი, რომელივ საფრთხეს უქმნის ადამიანის სოცოცხლესა და ჯანმრთელობას და მატერიალურ ქონებას;
მუხლი 31. კოლეჯის შენობა აღჭურვლია ხანძართან ბრძოლის პირველადი საშუალებებით, სახანძრო სტენდით, ხელის და გადასატანი ცეცხლმაქრებით;
მუხლი 32. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- მუდმივად შენარჩუნებული და დაცული უნდა იყოს სისუფთავე, დაუშვებელია ნარჩენებისა და მასალების უკონტროლო დაგროვება საევაკუაციო გზებსა და გასასვლელებში;
- ელექტრო მეურნეობა და მოწყობილობები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში და მუდმივად მოწმდებოდეს კვალიფიციური პერსონალის მიერ;
- ელექტრო მოწყობილობები და დანადგარები სამუშაოს დასრულების შემდეგ უნდა გაითიშოს დენის წყაროდან თუ მათი მუდმივი მუშაობა აუცილებლობით არაა განპირობებული;
- მოსაწევად უნდა გამოიყოს სპეციალურად უსაფრთხო ადგილები;
- პერიოდულად უნდა მოხდეს ცეცხლმაქრებისა და სახანძრო ინვენტარის ინსპექტირება, გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ინვენტარის ჩანაცვლება;
- თვალსაჩინო ადგილზე უნდა განთავსდეს საევაკუაციო გეგმები, ნიშნები და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის/პირების საკონტაქტო ინფორმაცია;
- ყველა თანამშრომელს გავლილი უნდა ჰქონდეს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი;
- ხანძრის ან დაკვამლიანების დაფიქსირების შემთხვევაში უნდა მოხდეს სახანძრო განგაშის გააქტიურება და ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება სახანძრო

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისთვის/პირებისთვის ან უშუალო ხელმძღვანელისათვის;

- თუ ხანძრის წყაროს წარმოადგენს ელექტროობა შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს დენის წყაროს გათიშვა ცენტრალური ამომრთველიდან;
- ხანძრის აღმომჩენ პირს შეუძლია გამოიყენოს ცეცხლმაქრი თუ დარწმუნებულია რომ ფლობს შესაბამის ცოდნას და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არ მიადგენა ზიანი;
- ევაკუაცია უნდა განხორციელდეს საევაკუაციო გეგმისა და ნიშნების შესაბამისად უსაფრთხო ადგილზე;
- საჭიროების შემთხვევაში გამოძახებული უნდა იქნეს სახანძრო სამაშველო სამსახური ნომერზე „112".

მუხლი 33. ელექტროუსაფრთხოება

33.1. ელექტრო ენერგიასთან არასათანადო მოპყრობამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც სხეულის დაზიანება, ისე ფატალური შედეგი, ხანძარი, აფეთქება და ა.შ.

33.2. სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ელექტროდანადგარების მომსახურებასთან ან სრულდება ელექტრო დანადგარების მახლობლად, საჭიროა შესრულდეს კომპეტენტური პირის მიერ;

33.3 სამუშაოების წარმოებისას ელექტროუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია უსაფრთხოების შემდეგი წესების დაცვა:

- ელექტრო სამუშაოებისა და ელექტრო დანადგარების მახლობლად მუშაობისას აუცილებელია ელექტროუსაფრთხოების ნიშნების მოთხოვნების დაცვა;
- სამუშაოების დაწყებამდე სასურველია ელექტროდანადგარები და მოწყობილობების არ იმყოფებოდნენ ძაბვის ქვეშ და იყოს სათანადო წესით დამიწებული;
- სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს ფარული ელექტრო ხაზების იდენტიფიცირება, რათა არ მოხდეს მათთან შემთხვევითი კონტაქტი;
- დაზიანებული ან არასათანადოდ იზოლირებული ელექტრო სადენებისა და ინსტრუმენტების აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია კომპეტენტური პირის ინფორმირება, პარალელურად ელექტროენერგიის წყაროს გათიშვა ან დაზიანებული ადგილის მონიშვნა რათა არ მოხდეს სხვა პირის მიერ უნებლიე კონტაქტი;
- სამუშაო უბნებზე ამომრთველ კარადებთან მისასვლელი ყოველთვის უნდა იყოს თავისუფალი, რათა საგანგებო სიტუაციაში დაუყოვნებლივ მოხდეს ელექტროენერგიის გათიშვა;
- საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა (ჩაფხუტი, სათვალე, ხელთათმანები და ა.შ);
- ელექტრო ხელსაწყოების გამოყენების დასრულებისთანავე უნდა მოხდეს მათი დენის წყაროდან სრული გათიშვა;
- ელექტრო სადენები არ უნდა იყოს ჩამოკიდებული ლურსმანზე, ან ისეთ ადგილზე განლაგებული სადაც არსებობს მათი დაზიანების და დასველების შესაძლებლობა;
- ყველა ელექტროდანადგარს უნდა გააჩნდეს სათანადო დამიწება;
- ელექტროდანადგარების მომსახურეობა უნდა ხორციელდებოდეს მწარმოებლების ინსტრუქციების შესაბამისად;

თავი 10. პერსონალური მონაცემების დაცვა;

მუხლი 34. საგანგებო სიტუაციის მართვა ხორციელდება კოლეჯში მოქმედი **პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმით** გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების დაცვით;

თავი 11. ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების დაცვა;

მუხლი 35. . საგანგებო სიტუაციის მართვა ხორციელდება კოლეჯში მოქმედი IT **რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკით** გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების დაცვით;

თავი 12. მონიტორინგი

მუხლი 36. შრომის უსაფრთხოების სისტემის გამართული მუშაობისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო ადგილების და მთლიანი შენობა ნაგებობის პერიოდული შემოწმებები,რათა დროულად მოხდეს არსებული ხარვეზების აღმოჩენა და აღმოფხვრა;

მუხლი 37. პერიოდული შემოწმებების საშუალებით მოწმდება შრომის უსაფრთხოების პირობებისა და პროცესების შესაბამისობა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და წინამდებარე პოლიტიკასთან;

მუხლი 38. მონიტორინგს ახორციელებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ანგარიშს შემოწმების შედეგების შესახებ და რეკომენდაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს;

თავი 13. დასკვნითი დებულებები

მუხლი 39. კოლეჯის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია პოლიტიკის განხორციელებასა და უსაფრთხოების მიზნების მიღწევაზე, რისთვისაც კოლეჯის ხელმძღვანელობა პერსონალისაგან უპირობოდ მოითხოვს და თავის მხრივ პერსონალი ვალდებულია:

- დაიცვას დადგენილი უსაფრთხოების ნორმები;
- დაიცვას საკუთარი და გარშემომყოფთა უსაფრთხოება, სიცოცხლე და ჯანმრთელობა;

მუხლი 40. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტს ამტკიცებს დირექტორი შესაბამისი ბრძანებით;

მუხლი 41. უსაფრთხოების პოლიტიკაში შესატანი ცვლილების დამტკიცება ხდება დირექტორის ბრძანებით;

მუხლი 42. საკანონმდებლო რეგულაციების, ექსპერტთა რეკომენდაციების, უსაფრთხოების კუთხით არსებული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე კოლეჯი დირექტორის შესაბამისი ბრძანებით პერიოდულად განახორციელებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მოდიფიკაციას.

შემსრულებელი: